



**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 2 21 0000680037



06/07/2021

"შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის №549082 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის №549082 გადაწყვეტილებაში შევიდეს ტექნიკური ხასიათის ცვლილება და გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი - "შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ", ამოქმედდეს 2021 წლის 31 ივლისიდან;
ამავე გადაწყვეტილების დანარჩენი პუნქტები (გარდა პირველისა) ძალაში შევიდეს 2021 წლის 25 მაისიდან.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მეორე შესახვევი, №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

